



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

 ----- ნოე ქაშიბაძე

30 ივნისი 2016 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტი

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში №38/36

2014 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 1 იანვარი

შინაარსი

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	3
დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა.....	6
პირობითი მოსაზრების საფუძველი.....	7
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	8
სხვა განსაკუთრებული გარემოებები.....	8

დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის (შემდეგში „დეპარტამენტი“) მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის აუდიტი.

შესაბამისობის აუდიტის მიზანი

შესაბამისობის აუდიტის მიზანია, აუდიტორმა გამოიტანოს დასკვნა დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან
- მარეგულირებელ ნორმებთან
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან

აუდიტის მიზანს წარმოადგენს, დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შემოწმება არსებითი გავლენის მქონე საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, მათ შორის:

- საქართველოს კანონი - „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანება „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს №672 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს პერზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

- საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 21 დეკემბრის N439 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის №422 განკარგულება „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N 172 დადგენილება „საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქცია;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ შესახებ;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ 2015 წლის კანონი;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის №39 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 27 დეკემბრის N 33 დადგენილება - „სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2015 წლის 25 სექტემბრის N 28 დადგენილება - „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამსახურებრივი ავტომანქანების გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“;

აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა:

- დეპარტამენტის 2015 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება;
- დეპარტამენტის საქმიანობის განსახორციელებლად მიღებული დაფინანსება, მიმდინარე და კაპიტალიზირებული ხარჯები;
- ნორმატიული აქტებით დეპარტამენტზე დაკისრებული მოვალეობების შესრულების მდგომარეობა;

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც ანალიზის, რისკების ან ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნება განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლობიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამობები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება დეპარტამენტის მიერ მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით 2015 წლის საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის შესახებ. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4100) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა დეპარტამენტის მიერ 2015 წელს საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

დეპარტამენტის საქმიანობის აღწერა

დეპარტამენტის მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნება:

- ა) სამართალშემოქმედება და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- ბ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- გ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, კანონით დადგენილ შემთხვევებში და წესით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მოთხოვნა;
- დ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებებით რეფორმის გატარების მიზნით რეკომენდაციების, წინადადებებისა და საკანონმდებლო აქტების პროექტების მომზადება;
- ე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“-ში გამოსაქვეყნებლად წარდგენა;
- ვ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმიანობის განხორციელება;
- ზ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები – პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მიმღებ პირებზე გასაცემი პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- თ) ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაცია;
- ი) კომპეტენციის ფარგლებში ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ინიციატივების განხორციელების ფარგლებში მონაწილეობის მიღება;
- კ) კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან (აფხაზეთიდან) იძულებით გადაადგილებულ პირთათვის სამართლებრივი ხასიათის პრობლემების გადაწყვეტაში ხელშეწყობა;
- ლ) აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში სამართლებრივი საქმიანობის ეფექტურობის ამაღლებაში ხელშეწყობა;
- მ) დეპარტამენტის მოსამსახურეთათვის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა;
- ნ) საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დაკისრებული სხვა ამოცანების გადაწყვეტა.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია განხორციელებული საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობის კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე პირობითი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი:

შტატგარეშე მომუშავეები

2015 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში, დეპარტამენტში დასაქმებული იყო შტატგარეშე 15 მომუშავე და მათზე ანაზღაურდა - 61,818.73 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად¹, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. მოპოვებული მტკიცებულებებით, შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად. კერძოდ, დეპარტამენტში 13 შტატგარეშე პირი აყვანილი იყო 2015 წელს (5-12 თვე) მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად და მათზე ანაზღაურდა - 54,292.13 ლარი (თვეში საშუალოდ 250-800 ლარი). ამასთან, შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ანალიზით გაირკვა, რომ 2015 წლის განმავლობაში მომუშავე 8 შტატგარეშე მოსამსახურე დეპარტამენტში მუშაობდა 2014 წელსაც (5-12 თვით) და 4 მათგანი ასრულებდა მათზე თავდაპირველად დაკისრებულ სამუშაოებს (მოვალეობებს);

დეპარტამენტის ინფორმაციით, მუდმივი ხასიათის სამუშაოებისათვის შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება განპირობებული იყო წლიური სამუშაოების მოცულობებითა და სამუშაო გეგმების შესრულებით. თუმცა გასული კორესპოდენციის შესწავლით და აუდიტის ობიექტიდან მიღებული ინფორმაციით დადგინდა, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელობას წლიური სამუშაო გეგმების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებებიდან გამომდინარე (რითაც განპირობებული იყო კიდევ შტატგარეშე მომუშავეთა დასაქმება) დამატებითი საშტატო ერთეულების გამოყოფის მიზნით არანაირი წინადადებით, მოთხოვნით ან სხვა რაიმე ოფიციალური დოკუმენტით აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის (აფხაზეთის მთვრობისათვის) არ მიუმართავს.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა. დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციით, შტატგარეშეები პერიოდულად წარადგენდნენ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს, თუმცა 3 შემთხვევაში შტატგარეშე თანამშრომლების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშები, მოხსენებითი ბარათი ან სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სხვა რაიმე დოკუმენტი წარმოდგენილი არ ყოფილა.

1 საჯარო სამსახურის შესახებ კანონის მე-8 მუხლი; 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტი; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 აგვისტოს №34 დადგენილების „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი;

ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გახარჯული საწვავი

ექსპერტის დასკვნის გათვალისწინებით² 2015 წლის განმავლობაში დეპარტამენტის თავმჯდომარეზე სარგებლობისათვის განპიროვნებული ბალანსზე რიცხული ავტომობილის საშუალო დღიურმა გარბენმა³ შეადგინა 73,5 კმ. მიუხედავად დეპარტამენტის მიერ წამოდგენილი ინფორმაციისა, რომლის თანახმადაც დღიური გარბენის ესოდენ მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იყო თავმჯდომარის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების გამო ინტენსიური გადაადგილებითა და ხშირ შემთხვევაში ავტომობილის სამსახურეობრივი მიმოსვლისათვის გამოყენებით⁴, აუდიტის ჯგუფისათვის ვერ იქნა წარმოდგენილი სხვა ალტერნატიული მტკიცებები (საწვავის ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტის გარბენის კონტროლის დამადასტურებელი მექანიზმები)⁵, რომლითაც ადეკვატურად დადასტურდებოდა საწვავის ესოდენ მაღალი ხარჯვისა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გარბენის რეალობა.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აზნაში აღწერილი საკითხების გარდა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა ყველა არსებით ასპექტში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

სხვა განსაკუთრებული გარემოებები:

სახელმწიფო შესყიდვები

აუდიტის პერიოდში დეპარტამენტის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით დადგინდა, რომ აუდიტის პერიოდში გაფორმებული 99 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების დადებისას 11 შემთხვევაში არ იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა სულ მცირე 30 დღით უნდა აღემატებოდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების ან/და სამუშაოს შესრულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადას.⁶

² სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2015 წლის 9 სექტემბრის ექსპერტიზის N 005303015 დასკვნა;

³ მაჩვენებელი მიღებულია ქალაქის პირობებში 100 კმ-ზე 14 ლიტრი საწვავის ხარჯვის გათვალისწინებით და თვეში 30 კალენდარულ დღეზე გადაანაგრიებით;

⁴ 2015 წლის 8 დეკემბრის N1389/01-გ წერილი;

⁵ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი, მე-6 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები და მე-10 მუხლი;

⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9-ის „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-19 მუხლის მე-14 პუნქტი; სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს ბრძანება №13-ის „გამარტივებული შესყიდვის, კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი;

მიმდინარე ხარჯები

დეპარტამენტმა 2015 წელს საბიუჯეტო ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლიდან 2.2.3.8. - „შენობა ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი“, განახორციელა 870.00 ლარის ღირებულების 5,3 კვ.მ (ორი ცალი) მეტალოპლასტმასის კარის მონტაჟი. ბალანსის დანართ ფორმა N2 -ში საკასო ხარჯმა ასახვა ჰპოვა „საქონელი და მომსახურების“ მუხლში - „ოფისის ხარჯები“, ხოლო ბალანსის დანართ ფორმა N5-ში აღნიშნული აქტივის მიღება შეცდომით აისახა, როგორც გრანტებით მიღებული აქტივი შენობა-ნაგებობების სტრიქონში. შესაბამისად აღნიშნული თანხით არასწორად გაიზარდა აქტივების ღირებულება. ამდენად, ვინაიდან კარების მონტაჟით ადგილი არ ჰქონდა არსებული აქტივის (შენობა-ნაგებობის) არსებით გაუმჯობესებას და ის ორგანიზაციისათვის წარმოადგენდა მხოლოდ მიმდინარე პერიოდის ხარჯებს, 870.00 ლარი არ უნდა ასახულიყო ძირითადი აქტივების შემადგენლობაში.⁷

აქტივების დანაკლისები

დეპარტამენტმა 2015 წელს წერილით მიმართა ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებას, 2011 წლის 22 მარტს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის კაბინეტიდან მოპარული ორი ცალი ლეპტოპის ქურდობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის თაობაზე, რაზეც დეპარტამენტს ეცნობა, რომ აღნიშნულ საქმეზე მიმდინარეობდა გამოძიება, ხოლო დამნაშავე პირის დადგენა-დაკავება და გატაცებული ნივთების ამოღება ვერ მოხერხდა. ფინანსური ანგარიშგების და მისი დანართი ფორმების შესწავლით გამოვლინდა, რომ აღნიშნული აქტივები 668.00 ლარის ოდენობით ორგანიზაციის ბალანსში სწორად აისახა, როგორც მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით და შეტანილ იქნა წლიური ბალანსის ჯამურ თანხაში, თუმცა ბალანსის დანართ ფორმა N5-ში ყოველგვარი საფუძვლის გარეშე ლეპტოპების გასვლა 668.00 ლარის ოდენობით ხელმეორედ იქნა ასახული⁸, როგორც ძირითადი აქტივების გასვლა დანაკლისებით და გამოაკლდა წლიური ნაშთის საბოლოო თანხას. შესაბამისად ბალანსის ფორმა N1-სა და ბალანსის დანართ ფორმა N5-ს შორის თანხები 668.0 ლარის ოდენობით შეუსაბამოდ იქნა წარმოდგენილი.⁹

⁷ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მუხლი 23-ის მე-5 და მე-6 პუნქტები; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე ინსტრუქციის“ კლასიფიკატორის კოდი 223;

⁸ აქტივების გასვლამ დანაკლისებით თავდაპირველად ასახვა ჰპოვა 2011 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში.

⁹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების 29-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4 და მე-5 პუნქტები;

ბუღალტრული გატარებები

ბუღალტრულ პროგრამა ORIS-ში არსებული გატარებების შესწავლით დადგინდა, რომ ბუღალტრული გატარებების განხორციელების დროს 2015 წელს აღიარებული ხარჯები არ იყო გადახურული კაპიტალის შესაბამის ანგარიშზე 5100 ან 5210.¹⁰

აუდიტის ჯგუფი:


უფროსი აუდიტორი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

აუდიტორ - ასისტენტი

16 ივნისი 2016 წელი



ბონდო გასვიანი

მიხეილ გოდოლაძე

ეთერ კაცაძე

ნინო ბრეგვაძე

¹⁰ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული "ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის მუხლი 38-ის პუნქტი 10;